



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 10 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №149/19

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

--- 2019 წლის 20 აგვისტოს №149 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლოში 2018 წლის 12 დეკემბერს წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომელიც განსახილველად დაეწერა მოსამართლე ---, რომელმაც საქმე წარმოებაში მიიღო და სასამართლო სხდომა ჩანიშნა 2019 წლის 4 მარტს, თუმცა იმავე დღეს ეცნობათ, რომ სხდომა არ ჩატარდებოდა და საქმე განსახილველად სხვა მოსამართლეს --- გადაეწერა, რადგან აღნიშნული დავა განეკუთვნებოდა „გ“ კატეგორიის საქმეებს (კომერციულ დავებს) და არა „ბ“ კატეგორიის (ვალდებულებით-სამართლებრივ დავებს). საჩივრის ავტორის განმარტებით, აცილების შუამდგომლობით მიმართეს მოსამართლე ---, რადგან მათ თავდაპირველად განემარტათ სასამართლოს მიერ, რომ განსახილველი დავა ვალდებულებით-სამართლებრივი დავების კატეგორიას განეკუთვნებოდა. შუამდგომლობა აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, თუმცა მოსამართლე --- ტექნიკურ-პროცედურული სრულყოფის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიიჩნია საქმე თავდაპირველად განმხილველ მოსამართლეს დაბრუნებოდა, ხოლო მოსამართლე --- ამჯერად განჩინებით აიცილა საქმე, რომელიც მოსამართლე --- განაწილდა. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აღნიშნული გარემოებები ობიექტური პირის თვალში ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს და მხარეებს უქმნის მიკერძოებულობის განცდას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 10 ნოემბერს --- სასამართლოს სარჩელით მიმართა ---, მოპასუხის --- მიმართ თანხის დაკისრების თხოვნით.

2017 წლის 10 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე --- წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე - დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე ---, როგორც კომპანია --- აქციონერს, აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული --- აქციის გასხვისება,

უფლებრივად დატვირთვა და წილის მართვაში გადაცემა; მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც იგი ითხოვდა აკრძალვოდა -- -- როგორც კომპანია -- -- აქციონერს, ისეთი გადაწყვეტილების მიღება ან გარიგების დადება, რომლებიც გამოიწვევდა აღნიშნულ კომპანიაში მისი კუთვნილი -- აქციის საბაზრო ღირებულების შემცირებას.

სასამართლო სხდომები გაიმართა 05.04.2018; 17.05.2018; 10.07.2018; 31.08.2018; 20.09.2018; 10.10.2018; 15.10.2018; 19.10.2018; 23.10.2018 წწ პერიოდებში. 2018 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე -- -- სარჩელი -- -- მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე - დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე -- -- მოსარჩელე -- -- სასარგებლოდ დაეკისრა -- აშშ დოლარის გადახდა; მოსარჩელე -- -- სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე -- -- მიმართ -- აშშ დოლარის (ძირი თანხა და სარგებელი), ასევე პირგასამტეხლოს სახით -- აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე - არ დაკმაყოფილდა.

2.2. 2018 წლის 13 დეკემბერს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით 2018 წლის 17 დეკემბერს საქმე გადაეცა მოსამართლე -- --. 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული. 2019 წლის 30 იანვარს მოპასუხე მხარემ სასამართლოში სააპელაციო შესაგებელი წარადგინა.

2019 წლის 4 მარტს მოსამართლე -- -- მოხსენებითი ბარათით მიმართა სააპელაციო სასამართლოს -- -- პალატის თავმჯდომარეს რომ საქმე შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეს გადასცემოდა განსახილველად.

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით 2019 წლის 4 მარტს საქმე გადაეცა მოსამართლე -- --. 2019 წლის 14 მარტის განჩინებით დაინიშნა მთავარი სხდომა 2019 წლის 28 მარტს. 2019 წლის 28 მარტს სასამართლო სხდომები გაიმართა 28.03.2019; 29.03.2019; 4.04.2019; 11.04.2019; 18.04.2019 წწ პერიოდებში.

2019 წლის 21 მაისს მოსამართლე -- -- მოხსენებითი ბარათით მიმართა სააპელაციო სასამართლოს -- -- პალატის თავმჯდომარეს საქმე დაბრუნებოდა თავდაპირველად განმხილველ მოსამართლეს.

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით, პირდაპირი განაწილებით 2019 წლის 21 მაისს საქმე გადაეცა მოსამართლე -- --. 2019 წლის 21 მაისს მოსამართლის თვითაცილების შესახებ განჩინებით საქმე გადაეცა -- სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით 2019 წლის 21 მაისს საქმე გადაეცა მოსამართლე -- --.

2019 წლის 27 მაისის განჩინებით დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2019 წლის 5 ივნისს. სასამართლოს სხდომები გაიმართა 05.06.2019; 14.06.2019; 18.06.2019; 21.06.2019 წწ პერიოდებში. 2019 წლის 21 ივნისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2018 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

2019 წლის 13 აგვისტოს -- -- საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში. 2019 წლის 2 ოქტომბერს -- -- დასაბუთებული საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 18 ნოემბრის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 20 აგვისტოს №149 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ სასამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.“

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

ბანგალორის პრინციპების პირველი ღირებულების მიხედვით სასამართლოს დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი გარანტია. ბანგალორის პრინციპების 1.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს თავისი სამოსამართლო ფუნქცია დამოუკიდებლად, მხოლოდ ფაქტების შეფასების საფუძველზე, სამართლის შეგნებული გაცნობიერების შესატყვისად და ყოველგვარი გარეშე ზემოქმედების, წაქეზების, იძულების, მუქარის ან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გარეშე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს; ამავე პრინციპის 1.2. მუხლის თანახმად მოსამართლეს დამოუკიდებელი პოზიცია უკავია მთლიანად საზოგადოებისა და იმ სასამართლო საქმის კონკრეტული მხარეების მიმართ, რომელზეც გადაწყვეტილება გამოაქვს; ხოლო 2.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას. კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მნიშვნელობას ადამიანის უფლებათა დაცვაში ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ ყველა სხვა უფლების იმპლემენტაცია საბოლოო ჯამში დამოკიდებულია მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებაზე.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქვევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას - აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“. მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლეები „ყოველთვის უნდა

იქცეოდნენ იმგვარად, რომ შეინარჩუნონ დაკავებული თანამდებობის ღირსება და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.“

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც „მოსამართლის მიერ წინასწარ შექმნილი აზრის არ ქონა“. მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. შესაბამისად, ვინაიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს მართლმსაჯულების ლეგიტიმურობის გარანტიას, ნებისმიერი წინაღობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ რწმენას უნდა იქნეს გამორიცხული და ნებისმიერი მოსამართლე, რომელთან მიმართებითაც ვერ იქნება მიუკერძოებლობის აღქმა უზრუნველყოფილი, აცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან. ერთ-ერთ საქმეზე (*Morice v. France*, §95) სასამართლომ აქცენტი გააკეთა ობიექტურობის ტესტზე და განმარტა, რომ არ არსებობს მკაფიო გამიჯვნა სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, ვინაიდან მოსამართლის ქცევამ შეიძლება არა მხოლოდ გამოიწვიოს ობიექტური უნდობლობა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გარე დამკვირვებლის თვალში (ობიექტური ტესტი), არამედ შეიძლება შეეხო მისი შინაგანი რწმენის საკითხს (სუბიექტურობის ტესტი) (*Ciprian v. Romania*, §119). ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიმართ არსებობს ლეგიტიმური მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ის არ არის სრულიად მიუკერძოებელი, უნდა ჩამოსცილდეს საქმეს (*Micallef v. Malta*, §98).

მასევე, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს აზრით, მოსამართლე უნდა განიხილავდეს საქმეებს, რომლებიც სასამართლო განხილვას ექვემდებარება. თუმცა შესაძლოა, წარმოიშვას სიტუაციები, როცა მხარეთა უფლებების დასაცავად და სასამართლო ორგანოთა პატიოსნებისადმი საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად გარდაუვალია მოსამართლის დისკვალიფიცირება, ანუ, სხვაგვარად რომ ითქვას, მისთვის კონკრეტული საქმის განხილვაში მონაწილეობისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების უფლების ჩამორთმევა.

სადისციპლინო პალატა ადგენს, რომ „სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას თითოეული მოსამართლე მოქმედებს, არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების სახელით. თითოეული მოსამართლის მიერ განხორციელებული ქმედება ზეგავლენას ახდენს სასამართლო პრესტიჟის სისტემაზე, რაც პირდაპირ აისახება სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობაზე. მოსამართლე უნდა ზრუნავდეს მთლიანად სასამართლო ხელისუფლების პროფესიონალიზმის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობისადმი საზოგადოების რწმენის დამკვიდრებასა და ამაღლებაზე. თითოეული მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს, არა მხოლოდ საკუთარ, როგორც ცალკე აღებული მოსამართლისა და პიროვნების ავტორიტეტსა და პრესტიჟს, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს.“

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ნორმებს. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

მოსამართლის აცილების ინსტიტუტი ემსახურება, ერთის მხრივ, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის განმტკიცებას და, მეორეს მხრივ, სწორედ სასამართლოს სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვებასა და შენარჩუნებას. მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას.

საჩივრის ავტორის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლეთა ქმედებები მხარეებს უქმნის მიუკერძოებლობის განცდას, უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე -- -- საქმე გადაეცა სპეციალიზაციის

შესაბამისად, „-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №-- გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 24 დეკემბრის №-- გადაწყვეტილების შესაბამისად. აღნიშნული გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომერციული დავები (ამ გადაწყვეტილების მიზნებისათვის, კომერციულ დავას წარმოადგენს და მხოლოდ ამ ქვეპუნქტს განეკუთვნება ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი კატეგორიის ქონებრივ-სამართლებრივი დავა, გარდა საოჯახო სამართლებრივი, დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელებისა), თუ სარჩელის ფასი აღემატება 500 000 ლარს; სამეწარმეო სამართლებრივი დავები; უვადო წარმოების საქმეები; გამარტივებული წარმოების საქმეები; შრომითი სამართლებრივი დავები; მუშაკის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასან დაკავშირებული დავები; სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავები; პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული დავები; ინტელექტუალურ-სამართლებრივი დავები. შესაბამისად, რამდენადაც, მოცემული დავა კომერციული კატეგორიის დავებს განეკუთვნება, ბუნებრივია, შესაბამისი კატეგორიის განმხილველმა მოსამართლემ უნდა განიხილოს, რადგან, თუ მოსამართლე მისი კატეგორიის შესაბამის დავას არ განიხილავს შესაძლოა ამ ფაქტმა გამოიწვიოს მხარეებში ეჭვი მოსამართლის მიუკერძოებლობაში.

აღსანიშნავია, რომ რამდენადაც, აღნიშნული საქმე მოსამართლე -- -- გადაეცა მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ბუნებრივია, მიზანშეწონილია მისი მხრიდან ტექნიკურ-პროცედურული სრულყოფის მიზნით აღნიშნული საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლისათვის დაბრუნება, რომელიც უკვე თვითაცილების გამო საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით გადაეცა მოსამართლე -- --. მოსამართლე -- -- საქმის გადაცემიდან ოთხ თვეში დაასრულა საქმის განხილვა. შესაბამისად, მოსამართლეთა მხრიდან არ განხორციელებულა ისეთი ქმედება რომელიც გონიერ დამკვირვებელს შეუქმნის მიკერძოებულობის განცდას.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლემ ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №149/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი